# კანონთა და მთავრობის განკარგულებათა
# კრებული

იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო განყოფილების გამოცემა.

1919 წ. თებერვლის 14 № 2 პირველი ნაწილი



**შინაარსი:**

კან. 9. 1919 წ. იანვრის 14-ს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა: „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატების“—ძალაში შესვლისა.

10. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა.

11. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა.

12. ყოფილ სანადელო, სახრჩნო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა.

13. მარიამის საირიგაციო ამხანაგობის გაუქმებისა და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა.

14. დროებითი დებულება საშუალო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა-და-სხვა ტიპის სკოლის შტატისა.

15. დროებითი დებულება უმაღლეს დაწყებით სკოლებში მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.



6 128

ბსსრ მეცნიერებათა აკადემია
ასულ. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

# 9. კანონი

**1919 წლის იანვრის 14-ს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის: „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატების“—ძალაში შესვლისა.**

1. „კანონი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლის და დამატებისა“, მიღებული პარლამენტის მიერ 1919 წლის იანვრის 14-ს, შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1919 წ. იანვრის 18.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

# 10. კანონი

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა.**

1. ტფილისის სასანიტარო ინსტიტუტი არის სახელმწიფოებრივი სამეცნიერო დაწესებულება, არსებობს განათლების სამინისტროს უწყებაში და ექვემდებარება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს; იგი შესდგება ექვსი განყოფილებისაგან. ეს განყოფილებანი არიან:

1) ქიმიური და საკუროორტო განყოფილება;

2) ბაქტერიოლოგიის განყოფილება პასტერის სადგურით და გადამდებ ავადმყოფობათა ქვეგანყოფილებით;

3) მალარიის და ცხელი ქვეყნების სხვა ავადმყოფობათა განყოფილება;

4) ჰიგიენისა და სამკურნალო-სასანიტარო სტატისტიკის განყოფილება;

5) სასამართლოს მედიცინის განყოფილება;

6) საფარმაკოლოგიო და საფარმაცევტო განყოფილება.

2. სასანიტარო ინსტიტუტს საგნად აქვს:

1) შეისწავლოს მეცნიერულად საქართველოს სასანიტარო და სამკურნალო მოთხოვნილებანი, უხელმძღვანელოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოქმედებას ერისა და ჯარის გაჯანსაღებისას, განსა-

კუთრებით გავრცელებულ ავათმყოფობათა საწინააღმდეგო ბრძოლაში, და აგრეთვე ჯეროვნად მოამზადოს სასანიტარო დარგში სპეციალისტები;

2) მეცნიერულად შეისწავლოს სამკურნალო ადგილები, მადნეული წყლები და ტალახები;

3) მეცნიერულად უხელმძღვანელოს საფარმაცევტო საქმეებს.

3. ქიმიურ განყოფილებას განაგებს ქიმიკოსი, მისი თანაშემწე, ერთი ასისტენტი და განყოფილების საკურორტო ნაწილში თანამშრომლობას უწევს ბალნეოლოგი.

4. ბაქტერიოლოგიის განყოფილებას განაგებს ბაქტერიოლოგი. მას ჰყავს ორი ასისტენტი, ერთი ასისტენტი განაგებს პასტერის სადგურს და ერთიც სეროლოგიის განყოფილებას.

5. მალარიის განყოფილებას განაგებს კლინიცისტი; ამ განყოფილების სამეცნიერო პერსონალს შეადგენს ერთი პარაზიტოლოგი, ერთი ენტომოლოგი, ერთი პატალოგოანატომი და ერთი მხატვარი.

6. ჰიგიენისა და სამკურნალო სტატისტიკის განყოფილებას განაგებს ერთი ჰიგიენისტი და იმას ჰყავს ერთი ასისტენტი.

7. სასამართლო მედიცინის განყოფილებას განაგებს გამგე-ექიმი და იმას ჰყავს ერთი ასისტენტი.

8. საფარმაკოლოგიო-საფარმაცევტო განყოფილებას განაგებს გამგე ერთი ასისტენტითურთ.

9. ინსტიტუტის მართვა კოლეგიალურია. დირექტორის მოვალეობას ამბანაგების არჩევით უსასყიდლოდ ასრულებს ერთი გამგეთაგანი.

10. ინსტიტუტი თვით შეიმუშავებს თავის წესდებას, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს განხილვის შემდეგ დამტკიცდება საზოგადო წესით.

11. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალია: ორი გადამწერი, ექვსი პრეპარატორი და თორმეტი მოსამსახურე.

12. ინსტიტუტი მოქმედობს მთელი წლის განმავლობაში.

13. ინსტიტუტის ხელში გადადის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორია პასტერის სადგურით, სამკურნალო განყოფილების გამგეობის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები და მალარიის სადგური.

1919 წ. იანვრის 18.

**ადამანს ხელს აწერენ:**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# შტატი

## სასანიტარო ინსტიტუტისა.

| №№ რიგზე. | სახელწოდება და თანამდებობა. | რიცხვი თანამდებობის პირთა. | წლიური ჯამაგირი | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | თითოს | ყველას | |
| 1 | ქიმიური, ბაქტერიოლოგიის, საჰიგიენო და სასანიტარო სტატისტიკის, სასამართლო მედიცინის და საფარმაცევტო განყოფილებათა გამგენი . . . . . | 5 | 12000 | 60.000 | თვით საქმის ვითარება მოითხოვს თანამდებობათა შეერთებას ინსტიტუტში და სხვა დაწესებულებებში და ამიტომ ჯამაგირი ნაკლებია. |
| 2 | ბალნეოლოგი, მალარიის განყოფილების გამგე, პარაზიტოლოგი, პათოლოგო-ანატომი და ენტომოლოგი . . | 5 | 3000 | 15.000 | |
| 3 | ასისტენტი . . . . . | 6 | 9500 | 57.000 | |
| 4 | გადამწერი. . . . . | 2 | 4200 | 8.400 | |
| 5 | პრეპარატორი . . . . . | 6 | 4800 | 28.800 | |
| 6 | მოსამსახურე . . . . . | 12 | 3600 | 43.200 | |
| 7 | ინსტიტუტის განყოფილებათა სამეცნიერო მასალისათვის, სამეცნიერო ავეჯეულობისა და თავდაპირველად მოწყობისათვის გამოანგარიშებულია . . . . . | — | — | 100.000 | |
| 8 | დაწესებულებათა ბინის შესანახად წლიურად დაახლოვებით . . . . . | — | — | 25.000 | |
| | ჯამი . . | — | — | 337.400 | |

1919 წ. იანვრის 18.

**დედანს ხელს აწერენ:**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# 11. კანონი

**სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა.**

1. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად, გარდა იმ გამონაკლისა, რომელიც ამ კანონის შემდეგს (2) მუხლშია მოხსენებული.

2. გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის 16 დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის მაისის 2 კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნულ იქნება

3. მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.

შენიშვნა. მიწის საკუთრებად მიღების უფლება არ ეკარგებათ, უკეთუ ამ (3) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, იმ ქალაქების მცხოვრებთ, რომელიც ქალაქებად გამოცხადებულ იქნა 1917 წლის მარტის 1 შემდეგ.

4. უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ ჰსურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინონ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს.

5. აგრეთვე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა და ან სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებად მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვედრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადასტურებულ იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნება სრულწლოვან მცხოვრებთა ხმის ორი მესამედით. ამავე დროს ხსენებულმა სოფლის საზოგადოებამ და ან სოფელმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად ადგილობრივ საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არის, საადგილ-მამულო გამგეობას განაჩენი, თუ რა წესით უნდა ისარგებლონ სოფლელებმა აღნიშნული მიწებით.

6. საძოვარი (выгонныя) ადგილები სოფლის საზოგადოებას და ან სოფელს გადაეცემა საკუთრებად.

7. მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოდ იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღეჭატებოდეს იმ ნორჭას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელთათვის ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7 კანონის მე-2-ე მუხლით. ამ ფარგლებში მიწები ისე უნდა იქნეს გა-

ნაწილებული, რომ პირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებია ეს მიწა, თანაც ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

შენიშვნა. უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა კერძო შემთხვევაში ამ კანონის მე-7-ე მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.

8. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება ამ კანონის საფუძველზე დაევალოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში შეადგენენ: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა არ არის არჩეული, და გ) სარაიონო კომისიები.

9. მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა გაიყოფა საგრარო რაიონებად. თვითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი 3—5 პირისაგან. სარაიონო თათბირს, რომელიც შესდგება სათანადო რაიონის საერობო ხმოსნებისა და სოფლების ორ-ორი წარმომადგენლისაგან, მოიწვევს სამაზრო საერობო გამგეობა, რომლის ერთ-ერთი წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას. იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები არ არიან არჩეული, სარაიონო თათბირი შესდგება ზემოთ აღნიშნულ სოფლის წარმომადგენელთა და საადგილ-მამულო გამგეობის მიერ დანიშნულ იმდენ წევრისაგან, რამდენიც საერობო ხმოსანია დაწესებული ამ რაიონისთვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირს მოიწვევს სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა, რომლის წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას.

შენიშვნა. თვითეულ სარაიონო კომისიას ჰყავს მდივანი და მიწის-მზომელი, რომელთაც დანიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრულ ჯამაგირით.

10. საქართველოს საადგილ-მამულო ფონდს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეს, მიწათ-მოქმედების მინისტრი გაანაწილებს მაზრებ შორის, ხოლო მაზრებში რაიონებ შორის. რაიონისთვის დანიშნული ფონდი დანაწილდება სარაიონო კომისიის მიერ სოფლის საზოგადოებათა, სოფელთა და კერძო პირთა შორის, რომელთაც ამ კანონით მიწა ერგებათ.

11. იმ პირმა, რომელსაც მიწის მიღების უფლება აქვს, თავისი სურვილი უნდა განუცხადოს სარაიონო კომისიას, რომელსაც უნდა წარუდგინოს აგრეთვე ცნობები, თუ რამდენი და რა სახის მიწა აქვს. ის პირი, რომელიც განზრახულ ყალბ ცნობებს წარადგენს თავის უძრავ ქო-

ნების თაობაზე, დასჯილ იქნება ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე და მიწის მიღების უფლების წართმევით, ხოლო თუ ამ გზით მიწის მიღებას მოასწრებს, მიღებული მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

12. სარაიონო კომისია ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენი საკუთარი მიწა აქვთ იმ პირთ, რომელნიც ფონდიდან ითხოვენ მამულს, გამოარკვიოს რაოდენობა იმ პირთა, რომელთაც მიწა ერგებათ, და აღნიშნულ რაიონში ფონდის სივრცისა და მიწის მოთხოვნილების მიხედვით მოახდინოს მისი განაწილება თანახმად ამ კანონის 3—7 მუხლებისა.

13. სარაიონო კომისიას ნება აქვს სათანადო რაიონის ფარგლებში მოაწყოს კომისიები სოფლის საზოგადოებებში და სოფლებში 3—5 პირისაგან, რომელთაც ამოირჩევენ სოფლის საზოგადოებები და სოფლები კუთვნილებისამებრ. თვითეულ სოფლის საზოგადოების კომისია წარუდგენს სარაიონო კომისიას თავის მოსაზრებებს, თუ როგორის წესით უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნული ფონდი სოფლებ შორის, ხოლო-ცალკე სოფლის კომისია სოფლის მცხოვრებთა შორის.

14. როცა სარაიონო კომისია გამოარკვევს, თუ რამდენი მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებად, ხოლო კერძო პირს კერძო საკუთრებად, შეადგენს მიცემის აქტს კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და, როცა სოფლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინიდან ხვედრი ფულის შეტანის კვიტანციას, გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს თვითეულ კერძო შემთხვევაში ორ წლამდე განუგრძოს მყიდველს სიღარიბის გამო ხვედრი ფულის გადახდის ვადა, უკეთუ ამის თაობაზე შუამდგომლობას აღძრავს საერობო და ან საადგილ-მამულო გამგეობა.

15. დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებას, სოფელს თუ კერძო პირს შეუძლიანთ სარაიონო კომისიის განკარგულება გაასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ასეთი არ არის — სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან კომისიის მიერ დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი წარედგინება თითონ სარაიონო კომისიას, რომელიც თავის განმარტებით გადასცემს მას საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

16. სამაზრო საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა მოისმენს დაინტერესებულ მხარეთა განმარტებას, უკეთუ ისინი გამოცხადდებიან

და გამოიტანს განაჩენს, რომლითაც ან უცვლელად დაამტკიცებს სარაიონო კომისიის მიერ წარმოდგენილ მიწის მიცემის აქტს, ან შეიტანს მასში ცვლილებას, ან სარაიონო კომისიას მოსთხოვს ახალ აქტის შედგენას. გამგეობის მიერ დამტკიცებულ აქტს აქვს ძალა ნასყიდობის სიგელისა (купчей крѣпости). მისი პირი მიეცემა სოფლის საზოგადოებას, სოფელს ან კერძო მყიდველს, ხოლო მეორე პირი წარედგინება უფროსს ნოტარიუსს სიგელთა რეესტრში აღსანიშნავად.

17. მცხოვრებთა შორის გასანაწილებელი მიწა გაიყიდება იმათზე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარულ იქნეს ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს დაედება საადგილ-მამულო ბანკების ვალების თავის თავზე გადატანით, ზოგიერთ მიწების გაშრობისა და მორწყვის, გადასახლებისა და დასახლების აგრარულ რეფორმის განხორციელებისა და მასთან შეკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭიროა აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერობებთან შეთანხმებით აწესებს თვითეულ რაიონისათვის საშუალო შეღავათიან ფასს დესეტინაზე, საშუალო ფასის მიხედვით გამოიანგარიშება საერთო ჯამი, რომელიც რაიონს მოუწევს. ამ საერთო ჯამთან შეფარდებით სარაიონო კომისია დააწესებს მიწების ფასს მათი ღირსების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ვენახები და გაშენებული ადგილები გაიყიდება ნამდვილ ღირებულების მიხედვით.

18. ყოველმა დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა დახმარება უნდა გაუწიოს აგრარულ რეფორმის სისრულეში მომყვან ორგანოებს, ხოლო დაინტერესებულმა სოფლის საზოგადოებამ, სოფელმა და კერძო პირმა უნდა გადასცენ ამ ორგანოების განკარგულებაში გადასაზიდი საშუალებანი, მუშები, იარაღები და მასალები ყოველგვარ სამუშაოსათვის და სამიჯნო ნიშნების ჩასაყრელად.

19. ყოველ შემთხვევაში, როცა ამ კანონით შეძენილი მიწების გადაცემა ხდება, სამაზრო ერობას უნდა მიეცეს უპირატესობა შეიძინოს ეს მიწა გადახდილ ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდიდან მიწის შემძენს გაუღია მამულის გასაუმჯობესებლად დღიდან შეძენისა. ამის გამო არც ერთი აქტი ამ მიწების გადაცემისა არ შეიძლება შესრულებულ იქნეს, უკეთუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობისაგან ამ უფლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან შეძენილ მიწას საჩუქრად გადასცემს თავის ოჯახის წევრებს.

20. ამ კანონის განსამარტებლად მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს გამოსცეს ინსტრუქციები.

21. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

# 12. კანონი

## ყოფილ სანადელო, სახიზნო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა.

1. ის სანადელო ადგილები, რომლის დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და სახელმწიფო „პოსელიანებმა“ 1912 წლის დეკემბრის 20-ს კანონის ძალით და რომელიც მათ სარგებლობაში იყო „უსტავნი ღრამატებით“, გამოცხადებულ იქნეს მათ კერძო საკუთრებად.

2. იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7-ს კანონის მეორე მუხლით, გამოცხადდეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხების, ან სოფლის, ან საზოგადოების ის სახაზინო მიწები, რომელიც მათ საშვილიშვილო სარგებლობაში იმყოფება;

ბ) ყოფილ ხიზანთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში სახიზნო უფლებით;

გ) გორის მაზრის მთიან ოსეთის ნაწილის ყოფილ გლეხთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ეგრედ წოდებულ „ვორონცოვის უფლებით“;

დ) ახალციხის და სხვა ადგილების ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ტაპის უფლებით.

ე) სოხუმის ოლქის ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1870 წ. ნოემბრის 8-ს დებულების წესით;

ვ) იმავე სოხუმის ოლქში მცხოვრებ პირთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1900 წლის მაისის 1-ს კანონით საშვილიშვილო სასარგებლოდ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ საერობო ან საადგილმამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს კერძო შემთხვევაში ამ 2 მუხლში მოხსენებულ ნორმა შესცვალოს.

3. ამ კანონის პირველ და მეორე მუხლში აღნიშნულ ადგილების მფლობელთ არ გადახდება მიწის ფასი, მხოლოდ დაევალებათ დამტკიცების და დაყორღნის ხარჯები.

4. საკუთრების დასამტკიცებელ აქტის მისაღებად ინი ისარგებლებენ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია იმათთვის, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები მიეყიდებათ.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

---

# 13. კანონი

**მარიამის საირიგაციო ამხანაგობის გაუქმებისა და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა.**

1. გამოცხადდეს სახელმწიფოს კუთვნილებად ყარაიაზის სარწყავი არხები ყოველი შენობით, ინვენტარით, მასალით და ყველაფრით, რაც კი დღემდის მარიამის სახელობის საირიგაციო ამხანაგობის ქონებას შეადგენდა, და გადაეცეს სამიწათმოქმედო სამინისტროს სათანადო განყოფილებას— წყალთა სამმართველოს.

2. მარიამის სახელობის საირიგაციო ამხანაგობა გაუქმებულ იქნეს და მისი წესდება, რომელიც დამტკიცებულია 1881 წლის მაისის 18-ს ყოფილი მეფის ნაცვლის მიერ, ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

---

# 14. დროებითი დებულება

**საშუალო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა-და-სხვა ტიპის სკოლის შტატისა.**

ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისა, რეალურ და საკომერციო სკოლებისა და სასოფლო ინსტიტუტების და სემინარიების აწინდელი შტატების ნაცვლად დაწესდეს შემდეგი ახალი შტატები:

1. გიმნაზიის, რეალურ და საკომერციო სკოლისა და სასოფლო ინსტიტუტისა და სემინარიის დირექტორს აქვს არა უმეტესი ექვსი გაკვეთილისა კვირაში; გიმნაზიის და რეალურ სკოლის ინსპექტორს, აგრეთვე ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს აქვს არა უმეტესი თორმეტი გაკვეთილისა კვირაში.

2. აღნიშნული თანამდებობის პირთ წლიურ გაკვეთილში მიეცემათ სამას ორმოცდაათი მანეთი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ უფროსი ქალი საშუალო განათლებისაა, გაკვეთილში მიეცემა ორას ოთხმოცი მან. წლიურად.

3. დირექტორს თანამდებობისათვის მიეცემა ექვსი ათას ცხრაასი მანეთი და ბინა, ან, თუ უკანასკნელი სკოლაში არ არის, ფულად ორი ათას ოთხასი მანეთი და აგრეთვე უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის. ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს, თუ უკანასკნელი უმაღლესი განათლებისაა, თანამდებობისათვის მიეცემათ ოთხი ათასს რვაასი მანეთი და ბინა, ან, უკეთუ ბინა არ არის, ფულად ათას რვაასი მანეთი და აგრეთვე უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკეთუ უფროსი ქალი საშუალო განათლებისაა, თანამდებობისათვის მიეცემა სამი ათასს რვაას სამოცი მანეთი და ბინა, ან ფულად ათასს რვაასი მანეთი და აგრეთვე უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი მანეთი თვითეულ ხუთწლეულისათვის.

4. უკეთუ სკოლას პარალელური განყოფილება აქვს, დირექტორს, ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს, აგრეთვე უფროს ქალს თვითეული განყოფილებისათვის მიეცემა განსაკუთრებული გასამრჯელო: დირექტორს ას ოცი მან., ხოლო ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს ასი მანეთი წლიურად.

5. საგნებისა და ენების შტატის მასწავლებელთ, უმაღლეს განათლება მიღებულთ, თორმეტ ძირითად გაკვეთილში მიეცემათ ოთხი ათას რვაასი მანეთი და უფლება სამ ხუთწლეულ დამატებისა, ექვსასი მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის, თორმეტს ზევით დამატებითს გაკვეთილებში—სამას ორმოცდაათი მანეთი თვითეულში.

6. საგნებისა და ენების შტატის მასწავლებელს, რომელსაც უმაღლესი განათლება არ მიუღია, თორმეტ ძირითად გაკვეთილში მიეცემა წლიურად სამი ათას რვაასი მანეთი და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის, თორმეტს ზევით დამატებით გაკვეთილებში—ორასს ოთხმოცი მანეთი თვითეულში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. წერითი სავარჯიშოების გასასწორებლად მასწავლებელს მიეცემა სამასი მანეთი წლიურად თვითეულ კლასზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ფიზიკურ და ბუნების-მეტყველების კაბინეტების გამგეობისათვის და ცდისა და პრაქტიკულ მეცადინეობათა საწარმოებლად ფიზიკასა და ბუნების-მეტყველებაში მასწავლებელთ მიეცემათ თვითეულს სამასი მანეთი წლიურად თითო კლასზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისა და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის მასწავლებელთ მიეცემათ ექვსას-ექვსასი მანეთი წლიურად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 4. თუ მასწავლებელი ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო სკოლაში არ მოვიდა, მის მაგიერ მიცემული გაკვეთილისათვის ერგებათ: უმაღლეს განათლება მიღებულთ შვიდი მან. 29 კაპ. თვითეულს გაკვეთილში (350 მან. კვალობაზე წლიურად) და არა უმაღლეს განათლება მიღებულთ ხუთი მან. 83 კ. (280 მ. კვალობაზედ წლიურად).

7. მესამე და მეოთხე მუხლში აღნიშნულ გაკვეთილთა რიცხვი, რომელიც მასწავლებელს აქვს ერთსა ან რამდენსამე სკოლაში, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ოცდაოთხს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დროებით, სამი წლის განმავლობაში დღიდან ამ კანონის შემოღებისა, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ მუხლში (7) აღნიშნული რაოდენობა გაკვეთილებისა შეიძლება გადიდდეს, ხოლო ყოველ კერძო შემთხვევაში სახალხო განათლების სამინისტროს ნება-რთვით.

8. ხატვის და სუფთა წერისა, გალობისა და ხელსაქმის მასწავლებელთ გიმნაზიებსა, რეალურ და საკომერციო სკოლებში, საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში მიენიჭებათ უფლება დაიმსახურონ სამი ხუთწლეული დამატება ექვსას ან ხუთას მანეთიანი, იმისდა მიხედვით, თუ რა განათლებისაა მასწავლებელი.

9. რეალურ და საკომერციო სკოლებში და საოსტატო სემინარიებში სუფთა წერის მასწავლებელი, იმისდა მიხედვით, თუ რა განათლებისაა, თვითეულ წლიურ გაკვეთილში მიიღებს სამას ორმოცდაათს მან. ან ორას ოთხმოც მან.

10. რეალურ და საკომერციო სკოლების, საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების ხატვისა და ხაზვის მასწავლებელნი, რომელთაც მიუღიათ უმაღლესი სპეციალური განათლება, ჯამაგირით გათანასწორებულნი არიან ამ კანონის მე-3-ე მუხლში აღნიშნულ მასწავლებლებთან და თვითეულ წლიურ დამატებითს გაკვეთილში მიიღებენ სამას ორმოცდაათს მან.; რეალურ და საკომერციო სკოლის, საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებს, რომელთაც არ მიუღიათ სპეციალური უმაღლესი განათლება, მიეცემათ ამ კანონის მე-4-ე მუხლში აღნიშნული ჯამაგირი.

11. გიმნაზიებსა, რეალურ და საკომერციო სკოლებში და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში ყოველი საგნის მასწავლებლად შეიძლება ქირით მოწვეულ იქნეს მასწავლებელი, უკეთუ ამ უკანასკნელს ისეთი განათლება აქვს მიღებული, როგორიც იმავე საგნების შტატის მასწავლებელს; ქირით მოწვეული მასწავლებლები მიიღებენ გაკვეთილების მიხედვით ისეთს გასამრჯელოს, როგორიც დაწესებულია შესაფერი შტატის მასწავლებელთა დამატებითი გაკვეთილებისათვის.

12. შტატ-გარეშე სამსახური, შტატის თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ, ჩაეთვლება მასწავლებელს ხუთწლეულ დამატებისა და პენსიის მისაღებად.

13. იმ პირს, რომელსაც შეუძენია უფლება საშუალო სკოლის მასწავლებლისა, ან საშინაო დამრიგებლისა, ან ახალი ენების მასწავლებლობისა, ნება აქვს ასწავლოს ეს ენები საშუალო სკოლის ყველა კლასში. ამ მასწავლებელთა ჯამაგირი იგივეა, რაც საშუალო განათლების მასწავლებელთათვის.

14. მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი ჯამაგირისა და დამატებითი გაკვეთილებისათვის გასამრჯელოს მხრით გათანასწორებულია სხვა კლასების იმ მასწავლებელთან, რომელსაც უმაღლესი განათლება არ მიუღია.

15. კლასის დამრიგებლის თანაშემწეს და საქმისმწარმოებელს გიმნაზიასა, რეალურ და საკომერციო სკოლებში თანამდებობისათვის მიეცემა ხუთი ათას ოთხასი მანეთი და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ოთხასი მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის.

16. თვითეულ კლასისათვის დაწესებულია თვითო კლასის დამრიგებელი და, თუ ეს შეუძლებელია, ორ კლასში — ერთი; უკანასკნელ შემთხვევაში კლასის დამრიგებელი ღებულობს, მასწავლებლის ჯამაგირის გარდა, ოთხი ათას ორას მანეთს გასამრჯელოს წლიურად იმ აუცილებელის პირობით, რომ მას ექნება არა უმეტესი თორმეტი გაკვეთილისა კვირაში. კლასის დამრიგებელი, რომელსაც ერთი კლასი აქვს ჩაბარებული, მასწავლებლის ჯამაგირის გარდა, მიიღებს წელიწადში ორი ათას ას მანეთს და უფლება აქვს აძლიოს არა უმეტესი თვრამეტი გაკვეთილისა. კლასის დამრიგებლად არ შეიძლება განწესებულ იქნეს გიმნაზიის, რეალურ და საკომერციო სკოლების და საოსტატო ინსტიტუტის და სემინარიის დირექტორი, ინსპექტორი და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი და უფროსი ქალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დროებით, სამი წლის განმავლობაში, ქალთა გიმნაზიებში დარჩება აწინდელი ინსტიტუტი კლასის დამრიგებელთა, რომელთაც ჯამაგირი აქვთ ოთხი ათას ხუთასი მანეთი თვითეულს და სამი ხუთწლეული დამატება, განათლების ცენზის მიხედვით. თუ კლასის დამრიგებელს აქვს გაკვეთილი — არა უმეტეს ექვსისა, — თვითეულ გაკვეთილში მიიღებს დამატებით გასამრჯელოს განათლების ცენზის მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. კლასის დამრიგებელს არა აქვს უფლება აიღოს გაკვეთილი სხვა სკოლაში.

17. არა უმაღლესი განათლების მასწავლებელს, რომელიც ამ კანონის შემოღებისას მსახურობს გიმნაზიასა, რეალურ და საკომერციო სკოლებსა და საოსტატო ინსტიტუტსა და სემინარიაში და უფლება აქვს ყველა კლასში მასწავლებლობისა, დაენიშნება ისეთივე ჯამაგირი, დამატება და გასამრჯელო დამატებითი გაკვეთილებისათვის, როგორიც უმაღლესი განათლების პირს.

18. გიმნაზიისა, რეალურ და საკომერციო სკოლისა, საოსტატო ინსტიტუტისა და სემინარიის უფლებიან მასწავლებელს, თუ იგი წინად მსახურობდა სამეცნიერო ან სასწავლო ასპარეზზედ, აგრეთვე მასწავლებლობდა პირველ-დაწყებით სკოლაში, სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში, ან სახელმწიფო თუ სხვა თანაბარ უფლებიან სკოლაში, ჩაეთვლება ხუთწლეული დამატების მისაღებად ყველა ის წლები, რომელიც უმსახურნია სამეცნიერო ასპარეზზედ, ან მასწავლებლად პირველ-დაწყებით სკოლაში.

19. დადგენილი შტატისა და კანონდებულების მოქმედება გავრცელებულ იქნეს იმ გიმნაზიებსა და რეალურ სკოლებზე, რომლებსაც ინახავს ხაზინა და აგრეთვე ერობა ან ქალაქი თავის თანხით.

20. სახელმწიფოს მოსამსახურეს, რომელსაც უჭირავს შტატის თანამდებობა, სამსახურის დროს პენსია არ მიეცემა.

21. დადგენილ იქნეს, რომ იმ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან სამსახურში გიმნაზიასა და რეალურ სკოლასა, საოსტატო ინსტიტუტსა და სემინარიაში, ნება მიეცეთ წინდაწინ მიიღონ ჯამაგირის მესამედი, რომელიც შემდეგ გამოერიცხებათ წესდების (კანონთა კრებ. ტომ. III, გამოცემა 1896 წ.) 216 და 217 მუხ. თანახმად.

22. ის პირი, რომელიც ამ შტატის შემოღების დროს არ მიიღებს ახალს დანიშნულებას, საერთო წესით შტატ გარეშე უნდა დარჩეს.

23. მოსამსახურეთა შვილები და აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათის წლისა გიმნაზიაში, რეალურ ან საკომერციო სკოლაში, საოსტატო ინსტიტუტში და სემინარიაში, სახალხო სკოლაში, სასწავლო აღმზდელობით ნაწილში, ან სჭერიათ თანამდებობანი ექიმისა და საქმის-მწარმოებლისა, განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულის შემოტანისაგან სახელმწიფო ვაჟთა და ქალთ გიმნაზიებში, რეალურ და საკომერციო სკოლებში და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში.

24. ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან გაუქმდეს მოქმედება ყოველი კანონისა სხვა-და-სხვა პრივილეგიის და დამატებით გასამრჯელოსათვის.

25. ეს კანონი შედის ძალაში 1918 წ. ენკენისთვის პირველიდან.

26. აღნიშნული დროებითი შტატით გამოწვეული ხარჯის 40—70% გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან სკოლების სპეციალურ თანხებისდა მიხედვით, ხოლო დანარჩენი დაიფაროს სკოლის სპეციალურის თანხიდან, გარდა საოსტატო ინსტიტუტისა და სემინარიისა, რომელთა შესანახავი მთელი თანხა გადადებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

27. გარკვეულ იქნეს ყოველწლიურად, 1918 წლის პირველ ენკენისთვიდან დაწყებული, ხარჯთ-აღრიცხვის წესით ყოველი თანხა,

რომელიც საჭიროა ამ კანონში აღნიშნულ ზომათა განსახორციელებლად და დაფარულ უნდა იქნეს სახელმწიფოს თანხიდან.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაქაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

---

# 15. დროებითი დებულება

## უმაღლეს დაწყებით სკოლებში მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1. უმაღლეს დაწყებით სკოლებში აწინდელ შტატის ნაცვლად დაწესდეს ახალი შტატი.

2. უმაღლესი დაწყებითი სკოლის გამგეს აქვს არა უმეტეს თორმეტი გაკვეთილისა კვირაში.

3. სკოლის გამგეს თანამდებობისათვის მიეცემა სამი ათას ექვსასი მან. წლიურად და ბინა, ან ბინის ნაცვლად ფულად ათას ხუთასი მან., მასვე თითო პარალელურ კლასისათვის ასი მან. წლიურად უკეთუ იგი უმაღლესი განათლებისაა, თანამდებობისა და 12-ი გაკვეთილისათვის მიეცემა რვა ათას ოთხასი მან. წლ. და ბინა, ან ბინის ნაცვლად ათას რვაასი მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

4. გამგეს და საგნების შტატის მასწავლებელთ 12-ტი ძირითადი გაკვეთილისათვის მიეცემათ სამი ათას რვაას სამოცი მან. თვითეულს და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

5. თუ უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი უმაღლესის განათლებისაა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საშუალო სკოლის შტატის მიხედვით.

6. 12-ზე ზევით თვითეული დამატებითი გაკვეთილისთვის ორას ოთხმოცი მან. მიეცემა, ხოლო საერთო რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყოველ კერძო შემთხვევაში 18-ზე მეტი გაკვეთილის აღება შეიძლება ჭოლოდ განსაკუთრებულის ნებართვით.

7. წერითი სავარჯიშოს გასწორებისათვის ყოველი საგნის მასწავლებელს მიეცემა ორას ოთხმოცი მანეთი წლიურად თვითეულს კლასზე.

8. პედაგოგიური რჩევის მდივნობისა და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის თითო მასწავლებელს მიეცემა ოთხას ოთხმოცი მან. წლიურად.

9. თვითეულ კლასისათვის დაწესებულია თითო კლასის დამრიგებელი, ხოლო კლასის დამრიგებლობისათვის მასწავლებელს მიეცემა თას რვაასი მან. წლიურად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კლასის დამრიგებელს არა აქვს უფლება აიღოს გაკვეთილი სხვა სკოლაში.

10. არა სრულუფლებიან მასწავლებელთ სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიებში და ქალთა გიმნაზიებში პედაგოგიურის კურსით და აგრეთვე ქალთა ეპარქიალურ სკოლაში სწავლა დამთავრებულთ, რომელნიც ამ კანონის ძალაში შესვლამდის ასრულებდენ მასწავლებელთა მოვალეობას, დაენიშნებათ ისეთივე ჯამაგირი და გასამრჯელო დამატებითი გაკვეთილებისათვის, როგორიც შტატის მასწავლებელთ, და მათი თანასწორნი არიან ყოველგვარის უფლებით.

11. უკეთუ უმაღლეს დაწყებით სკოლათა უფლებიანი მასწავლებელნი წინად მსახურობდენ მასწავლებლად პირველ დაწყებით სკოლებში ან საზოგადოდ სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში, ყველა ნამსახური წლები ჩაეთვლებათ ხუთწლეული დამატების მისაღებად.

12. დაწესებული შტატისა და კანონდებულების მოქმედება გავრცელებულ იქნეს იმ უმაღლეს დაწყებით სკოლაზე, რომელსაც თავის ხარჯით ინახავს ხაზინა, ერობა თუ ქალაქი.

13. სახელმწიფოს მოსამსახურეს, რომელსაც უჭირავს შტატის თანამდებობა, სამსახურის დროს პენსია არ მიეცემა.

14. დადგენილ იქნეს, რომ იმ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან უმაღლეს დაწყებით სკოლებში მასწავლებლად, ნება მიეცეთ წინდაწინ მიიღონ ჯამაგირის მესამედი, რომელიც შემდეგ გამოერიცხებათ წესდების (კანონ. კრებ. ტომ. III, გამოცემა 1896 წ.) 216 და 217 მუხ. თანახმად.

15. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ შტატის შემოღების დროს არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას, შტატს გარეშე უნდა დარჩნენ საერთო წესით.

16. მოსამსახურეთა შვილები და აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათის წლისა მთავრობის სახაზინო სკოლებში, ან სჭერიათ თანამდებობა ექიმისა, განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულისაგან ყველა სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა სკოლაში.

17. თვითეულს უმაღლეს დაწყებით სკოლას უნდა ჰყავდეს სასკოლო ექიმი, რომელსაც წლიურად მიეცემა ორი ათას ოთხასი მან.

18. აღნიშნული დროებითი შტატით გამოწვეული ხარჯის 75% გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან, ხოლო დანარჩენი 25% დაიფაროს სკოლის სპეციალური თანხიდან.

19. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის სექტემბრის პირველიდან.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## ვაჟთა გიმნაზიის ერთკომპლექტიანი

# შტატი

| თანამდებობა | მოსამსახურეთა რიცხვი | მასწავლებელთა რიცხვი | წლიურად: ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი . . . . . | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| ინსპექტორის თანამდებ. აღმას. | 1 | — | 4800 | 1800 | 6600 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენის და სიტყვიერ. | | | | | | |
| რუსული ენის და ფილ. პროპ. | | | | | | |
| ლათინურის ენისა. . . . . | | | | | | |
| მათემატიკის და ფიზიკის . . | | | | | | |
| ბუნების-მეტყვ. და გეოგრაფიის | 11 | 217 | | | 82550 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმეტესს განათლების მიხედვით. |
| ისტორიის . . . . . | | | | | | |
| ფრანგული ენის . . . . . | | | | | | |
| გერმანული ენის . . . . . | | | | | | |
| კანონმდებლობისა . . . . . | | | | | | |
| ხატვისა და სუფთა წერის . . . | — | — | — | — | 5950 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, იმ სკოლაში, სადაც როგორულ უმცირესობათა ენა იწავლება, მასწავლებელი იღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვით. |
| გალობის და მუსიკის . . . . | 1 | 10 | — | — | 2800 | |
| გიმნასტიკის . . . . . | 1 | 16 | — | — | 4480 | |
| მოსამზად. კლასის მასწავლ. . | 2 | 40 | — | — | 12200 | |
| კლასის დამრიგებელი . . . . | 10 | — | — | — | 21000 | |
| კლასის დამრიგ. თანაშემწ. . . | 1 | — | — | — | 5400 | |
| ფიზიკურ კაბ. გამგეობისა და ცდისათვის . . . . . | — | — | — | — | 900 | |
| წეოითი სავარჯიშოს გასასწ. . | — | — | — | — | 12000 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წლივ გაიცემულ უნ. და იქნეს ხუთწლეულები. |
| ბუნების მეტყ. კაბ. და ცდისათვის . . . . . | — | — | — | — | 900 | |
| ექიმი . . . . . | 1 | — | — | — | 3600 | |
| პედაგოგიური რჩევ. მდივან. . | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე . . . . . | 1 | — | — | — | 600 | |
| საქმისმწარმოებელი . . . . . | 1 | — | — | — | 5400 | |
| საკანცელარიო ხარჯი . . . . | — | — | — | — | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის . . | — | — | — | — | 4000 | |
| ბინის შენახვა . . . . . | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე . . . | — | — | — | — | 29400 | |
| **ჯამი . . .** | — | — | — | — | 235680 | |

1919 წ. იანვრის 28

**დედანს ხელს აწერენ:**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.**

## ქალთა გიმნაზიის ერთკომპლექტიანი

# შტატი

| თანამდებობა | მოსამსახურეთა რიცხვი | გაკვეთილების რიცხვი | წლიურად: ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| უფროსი ქალი | 1 | — | 4800 | 1800 | 6600 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენის და სიტყვიერ. რუსული ენის და ფილოს. პროპ. გერმანული ენის ფრანგული ენის ლათიური ენის მათემატიკის და ფიზიკის ბუნების-მეტყვ. და გეოგრაფ. ისტორიის კანონმდებლობის | 11 | 211 | — | — | 80450 | 1. ანგარიში შედგენილია მა წავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით. 2. გარდა შტატში აღნიშნულ სგანთა, იმ სკოლაში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ენა ისწავლება, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვით |
| ხატვის და სუფთა წერის | 1 | 17 | — | — | 5950 | |
| გალობის და მუსიკის | 1 | 10 | — | — | 2800 | |
| ხელსაქმის | 1 | 10 | — | — | 3500 | |
| გიმნასტიკის | 1 | 16 | — | — | 4480 | |
| მოსამზადებელ კლასის მასწ. | 2 | 40 | — | — | 12200 | |
| კლასის დამრიგებელი | 10 | — | — | — | 21000 | |
| კლასის დამრიგებლის თანაშ. | 1 | — | — | — | 5400 | |
| წერითი სავარჯიშ. გასწორ. | — | — | — | — | 12000 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| ფიზიკურ კაბინეტის გამგეობ. და ცდისათვის | — | — | — | — | 900 | |
| ბუნებ.-მეტყველ. კაბინეტის გამგეობის და ცდისათვის | — | — | — | — | 900 | |
| ექიმი | 1 | — | — | — | 3600 | |
| პედაგოგიური რჩევის მდივანი | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე | 1 | — | — | — | 600 | |
| საქმისმწარმოებელი | 1 | — | — | — | 5400 | |
| საკანცელარიო ხარჯი | — | — | — | — | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის | | — | — | — | 4000 | |
| ბინის შენახვა | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე | — | — | — | — | 29400 | |
| ჯამი | — | — | — | — | 237080 | |

1919 წ. იანვრის 28.

ადგენს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# შტატი

## ოთხკლასიანი გიმნაზიისა.

| თანამდებობა | მოსამსახურე პირთა რიცხვი | გაკეთილების რიცხვი | წლიურად: ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი . . . . . | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| რუსული ენისა და ფილოსოფიური პროპედ. . . | | | | | | |
| ლათინური ენისა . . . . | | | | | | |
| გერმანული ენის. . . . . | | | | | | |
| ფრანგული ენისა. . . . . | | | | | | |
| მათემატიკისა და ფიზიკის . | 6 | 119 | — | — | 45250 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით. |
| ბუნებისმ-ეტყველების და გეოგრაფიის . . . | | | | | | |
| ისტორიის . . . . . | | | | | | |
| კანონმდებლობის . . . . | | | | | | |
| ხატვის. . . . . | — | — | — | — | — | 2. გარდა შტატში აღნიშნულ სგანთა, იმ სკოლებში, სადაც ერთულ უმცირესობათა ენა ისწავლება, მასწ ვლებელი მიიღებს მეტს ჯამაგირს განაღლების ცენზის მიხედვით. |
| გალობის და მუსიკის. . | 1 | 4 | — | — | 1120 | |
| გიმნასტიკისა . . . . . | 1 | 8 | — | — | 2240 | |
| კლასის დამრიგებელი. . . | 4 | — | — | — | 8400 | |
| კლასის დამრიგ. თანაშემწე | 1 | — | — | — | 5400 | |
| ექიმი . . . . . | 1 | — | — | — | 3600 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თ ნხისა, სახელმწიფოს ხ ზინიდ ნ ყოველ წლივ გადებულ უნდა იქნეს ხუთწლეული ები. |
| საქმისმწარმოებელი . . . | 1 | — | — | — | 5400 | |
| პედაგოგიურ რჩევის მდივანი | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე . . . | 1 | — | — | — | 600 | |
| ფიზიკურ და ბუნების-მეტყველების კაბინეტ. გამგეობ. და ცდისათვის . . . | — | — | — | — | 900 | |
| წერითი სავარჯიშ. გასასწ. . | — | — | — | — | 6000 | |
| საკანცელარიო ხარჯი. . | — | — | — | — | 1500 | |
| სასწავლო ნივთებისათვის | — | — | — | — | 2000 | |
| ბინის შენახვა. . . . . | — | — | — | — | 10000 | |
| დაბალი მოსამსახურე. . | — | — | — | — | 12600 | |
| ჯ ა მ ი. . . . | — | — | — | — | 114910 | |

1919 წ. იანვრის 28.

ქედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაქაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

## რეალურ სკოლისა.

| თანამდებობა | მოსამსახურეთა რიცხვი | გაკვეთილების რიცხვი | წლიურად ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი . . . . . | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| ინსპექტორ. თანამ. აღმასრ. | 1 | — | 4800 | 1800 | 6600 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენისა და სიტყვიერებისა, რუსული ენისა, გერმანულის, ფრანგულის, მათემათიკის და ფიზიკის, ბუნების - მეტყველების, გეოგრაფიის, ისტორიის. | 10 | 214 | — | — | 80900 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით. |
| ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერისა . . . . . | 1 | 14 | — | — | 5500 | |
| გალობისა და მუსიკისა . | 1 | 10 | — | — | 2800 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ სავანთა, იმ კლასებში, სადაც ეროვნულ უმცრესობათა ენა ისწავლება, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვით. |
| გიმნასტიკისა . . . . | 1 | 14 | — | — | 3920 | |
| მოსამზად. კლასის მასწავლ. | 2 | 40 | — | — | 12200 | |
| კლასის დამ. იგებელი . . . | 9 | — | — | — | 18900 | |
| კლასის დამრ. თანაშემწე . | 1 | — | — | — | 5400 | |
| წერითი სავარჯ. გასწორება | - | — | — | — | 12000 | |
| ფიზ. კაბინ. გამგეობა და ცდისათვის . . . | — | — | — | — | 900 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწ ფოს ხაზინიდან ყოველწლივ გ ღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| ბუნ.-მეტყვ. კაბ. გამ. და ცდისათვის . . . . . | — | — | — | — | 900 | |
| ექიმი . . . . . | — | — | — | — | 3600 | |
| პედაგოგიურ რჩევის მდივანი | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე . . . | 1 | — | — | — | 600 | |
| საქმისმწარმოებელი . | 1 | | — | — | 5400 | |
| საკანცელარიო ხარჯი . . | — | — | — | — | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის . | — | — | — | — | 4000 | |
| ბინის შენახვა . . . . . | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე . . | — | — | — | — | 29400 | |
| ჯამი . . . | — | — | — | — | 230920 | |

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

## საკომერციო სკოლისა.

| თანამდებობა | ოსამსახურე პირთა რიცხვი | გაკვეთილების რიცხვი | წლიურად: ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი . . . . . | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| ინსპექტორის თანამ. აღმასრ. | 1 | — | 4800 | 1800 | 6600 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენის, რუსულის, გერმან., ფრანგულ., მათემათიკ., ფიზიკ., ბუნებისმეტყველებ., ისტორ., გეოგრაფ., კომერციულ მათემათ., ბუხჰალტერ., პოლიტიკ. ეკონომიის, ეკონომ. გეოგრაფ., კანონმდებლობის. | 10 | 203 | — | — | 85150 | |
| პრაქტიკულ ქიმიის და სხვა | 2 | 33 | — | — | 12750 | |
| ხატვა-ხაზვის და სუფთა წერის | 1 | 17 | — | — | 6550 | |
| გალობის და მუსიკის . . | 1 | 10 | — | — | 2800 | |
| გიმნასტიკის . . . . . | 1 | 14 | — | — | 3920 | |
| მოსამზადებელ კლასის მასწავ. | 2 | 40 | — | — | 12200 | |
| კლასის დამრიგებელი . . | 10 | — | — | — | 21000 | |
| კლასის დამრიგ. თანაშემწე | 1 | — | — | — | 5400 | |
| წერითი სავარჯიშ. გასწორ. | — | — | — | — | 12000 | |
| ფიზ. კაბ. გამ. და ცდისათ. . | — | — | — | — | 900 | |
| ბუნ.-მეტყ. კაბ. გამ. და ცდის. | — | — | — | — | 900 | |
| ექიმი . . . . . | 1 | — | 3600 | — | 3600 | |
| პედაგოგიური რჩევის მდივან. | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე . . . | 1 | — | — | — | 600 | |
| საქმისმწარმოებელი . . | 1 | — | — | — | 5400 | |
| საკანცელარიო ხარჯი . . | — | — | — | — | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის . | — | — | — | — | 4000 | |
| ბინის შენახვა . . . . . | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე . . | — | — | — | — | 29400 | |
| ჯამი . . . | — | — | — | — | 251070 | |

1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით.

2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, იმ სკოლაში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ენა ისწავლება, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამგირს განათლების ცენზის მიხედვით.

3. გარდა ამ საეკლესიო ძირითადი თანხისა, სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

1919 წ. იანვრის 28.

ადგენს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

## საოსტატო ინსტიტუტისა.

| თანამდებობა | მოსამსახურე პირთა რიცხვი | დაკავებულების რიცხვი | წლიურად ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი | 1 | — | 6900 | 2400 | 9300 | |
| საზოგადო საგნების მასწავლებელი | 8 | 108 | — | — | 42600 | |
| ხელოვნების და ფიზიკურ ვარჯიშობის მასწ. | 4 | 64 | — | — | 19920 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით. |
| გამგე ლაბორატ. | 2 | — | 1200 | — | 2400 | |
| კლასის დამრიგებელი | 3 | — | 2100 | — | 6300 | |
| წერითი ვარჯიშობისთ. | — | — | — | — | 11400 | |
| უმაღლეს დაწყებით სკოლის მასწ. | 4 | 96 | — | — | 28880 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, თუ ინსტიტუტში ისწავლება ეროვნულ უმცირესობათა ენა, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განთლების ცენზის მიხედვით. |
| კლასის დამრიგებელი | 4 | — | — | — | 7200 | |
| პედაგ. რჩევის მდივანი | 1 | — | 600 | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე | 1 | — | 600 | — | 600 | |
| ექიმი | 1 | — | 3600 | — | 3600 | |
| საქმისმწარმოებელი | 1 | — | 5400 | — | 5400 | |
| სასწავლო ნივთებისა | — | — | — | — | 4000 | |
| საკანცელარიო ხარჯი | — | — | — | — | 3000 | |
| ბინის შენახვა | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე | — | — | — | — | 29400 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველწლივ გაიგზავნება უნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| სტიპენდიატი | 45 | — | — | — | 54000 | |
| ჯამი | — | — | — | — | 253200 | |

1919 წ. იანვრის 28.

ფიცანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

## საოსტატო სემინარიისა.

| თანამდებობა | მოსამსახურე პირთა რიცხვი. | წლიური ჯამაგირი თითეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| დირექტორი | 1 | 6900 | 6900 | |
| მასვე ბინის ქირად, უკეთუ ბინა არა აქვს. | — | 2400 | 2400 | |
| მასვე 6 გაკვეთილისათვის | — | 2100 | 2100 | |
| მასწავლ. საზოგადო სამეცნიერო საგნებისა | 4 | 6900 | 27600 | |
| კლასის დამრიგებელი | 4 | 2100 | 8400 | |
| ხატვა-ხაზვის მასწავლებელი | 1 | 5950 | 5950 | |
| მოსამზადებელ კლას. მასწავ. | 1 | 6900 | 6900 | |
| მასვე კლასის დამრიგებ. | — | 2100 | 2100 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლეს განათლების მიხედვით. |
| გალობის და მუსიკის მასწავ | 1 | 3500 | 3500 | |
| ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავ. | 1 | 3500 | 3500 | |
| მეურნეობის (ვაჟებისათვის) ან ხელსაქმის (ქალებისათვის) მასწავ. | 1 | 6900 | 6900 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, იმ სემინარიაში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ენა ისწავლება, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვით. |
| ექიმი | 1 | 3600 | 3600 | |
| მასვე 10 გაკვეთილი | — | 3500 | 3500 | |
| მასწ. პირველ დაწყებ. სკოლ. | 4 | 4800 | 19200 | |
| საქმისმწარმოებელი და შენობის მეთვალყურე | 1 | 5400 | 5400 | |
| პედაგოგიურ რჩევის მდივანი. | 1 | 600 | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე | 1 | 600 | 600 | |
| ფიზ. კაბ. გამგ. და ცდისათ ის | — | 900 | 900 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წლივ გადებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| ბუნების-მეტყ. კაბ. გამგეობ. და ცდისათვის | — | 900 | 900 | |
| წერითი სავარჯიშ. გასწორ. | — | 6000 | 6000 | |
| საკანცელარიო ხარჯი. | — | 3000 | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის | — | 4000 | 4000 | |
| ბინის შენახვა. | — | 15000 | 15000 | |
| დაბალი მოსამსახურე | — | 4200 | 29400 | |
| სტიპენდიატი | 80 | — | 48000 | |
| ჯამი | — | — | 216350 | |

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

5 233
1919



# შტატი

## უმაღლეს დაწყებითი ერთკომპლექტიანის სკოლისა.

| თანამდებობა | მოსამსახურე პირთა რიცხვი | გაკეთილების რიცხვი | წლიურად: ჯამაგირი | ბინის ქირა | სულ მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამგე . . . . . | 1 | — | 4100 | 1500 | 5600 | 1. ანგარიში შეტანილია მასწავლებელთა საშუალო განათლების მიხედვით. |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენის, რუსულის, გერმ., ფრანგ., მათემატიკა ფიზიკის, ბუნების მეტ., ისტორიის და გეოგრაფ. | 5 | 108 | — | — | 32740 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, იმ სკოლაში, სადაც ერთვნულ უმცირესობათა ენა ისწავლება, მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვ. |
| ხატვა-ხაზვის მასწავლებ. | 1 | 8 | 2240 | — | 2240 | |
| ხელსაქმის და ხელგარჯ. | 1 | 8 | 2240 | — | 2240 | |
| გალობა-სიმღერის . . . | 1 | 4 | 1120 | — | 1120 | |
| ფიზიკური ვარჯიშობის . | 1 | 4 | 1120 | — | 1120 | |
| პედაგოგ. საბჭოს მდივანი . | 1 | — | 480 | — | 480 | |
| ბიბლიოთეკის გამგე . . | 1 | | 480 | — | 480 | |
| კლასის დამრიგებელი . . | 4 | — | 1800 | — | 7200 | 3. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წელიწადს გაიღებულ ფუნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| წერითი სავარჯ. გასწორ. . | — | — | — | — | 5600 | |
| ექიმი . . . . . | 1 | — | 2400 | — | 2400 | |
| საქმისმწარმოებელი . . . | 1 | — | 1800 | — | 1800 | |
| საკანცელარიო ხარჯი . . | — | — | — | — | 1000 | |
| სასწავლო ნივთების . . . | — | — | — | — | 1000 | |
| სასწავლებლის ბინის შენახვა, გათბობა-განათება, მსახურები და სხვა . . . . | — | — | — | — | 12000 | |
| ჯამი . . . | — | — | — | — | 77020 | |

1919 წ. იანვრის 28.

**დედანს ხელს აწერენ:**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.**